

შპს ბიდიო საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ამონაგები.....	12
5. გაყიდვების თვითღირებულება.....	12
6. კომერციული ხარჯები.....	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
8. ძირითადი საშუალებები.....	13
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
12. საკუთარი კაპიტალი.....	15
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	15
14. პირობითი ვალდებულებები.....	15
15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	15
16. პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	18

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ზიდო საქართველოს“ პარტნიორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზიდო საქართველოს“ (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე არსებით სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობასთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოება

შესადარისი მონაცემები 31 დეკემბერი 2023-ის მდგომარეობით და 31 დეკემბერს 2023 დასრულებული წლისთვის აუდიტირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიურ ანგარიშში არსებულ ინფორმაციას, რომელშიც შედის ნორმატიული მიზნებისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორთა დასკვნას მასთან დაკავშირებით.

ჩვენი მოსაზრება, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას სხვა ინფორმაციის შესახებ.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, და განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობისაგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობისაგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობა შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

28 ოქტომბერი 2025 წელი

- ვახდენთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

28 ოქტომბერი 2025 წელი

შპს ბიდიო საქართველო
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

	შენიშვნა	2024	2023 (არააუდირებული)
ამონაგები	4	25,472,579	21,936,582
გაყიდვების თვითღირებულება	5	(18,802,128)	(15,342,460)
საერთო მოგება		6,670,451	6,594,122
სხვა შემოსავალი		12,480	57,671
კომერციული ხარჯები	6	(287,102)	(405,625)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,850,447)	(4,637,425)
საექვო ვალების რეზერვი	9	(28,636)	(177,273)
საოპერაციო მოგება		2,516,746	1,431,470
ფინანსური შემოსავალი		278,736	138,970
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)		59,768	(1,065)
მოგება დაბეგვრამდე		2,855,250	1,569,375
მოგების გადასახადის ხარჯი		(744,110)	(3,756)
წლის მთლიანი სრული მოგება		2,111,140	1,565,619

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი

ზურაბ ლალაზაშვილი

ბუღალტერიის და ფინანსური
განყოფილების ხელმძღვანელი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო საქართველო
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (არააუდირებული)
ამონაგები	4	25,472,579	21,936,582
გაყიდვების თვითღირებულება	5	(18,802,128)	(15,342,460)
საერთო მოგება		6,670,451	6,594,122
სხვა შემოსავალი		12,480	57,671
კომერციული ხარჯები	6	(287,102)	(405,625)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,850,447)	(4,637,425)
საექვო ვალების რეზერვი	9	(28,636)	(177,273)
საოპერაციო მოგება		2,516,746	1,431,470
ფინანსური შემოსავალი		278,736	138,970
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)		59,768	(1,065)
მოგება დაბეგვრამდე		2,855,250	1,569,375
მოგების გადასახადის ხარჯი		(744,110)	(3,756)
წლის მთლიანი სრული მოგება		2,111,140	1,565,619

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 28 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი

ზურაბ ლალაზაშვილი

ბუღალტერიის და ფინანსური
 განყოფილების ხელმძღვანელი

შორენა ბუაძე

შპს ბიდიო საქართველო
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (არააუდირებული)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	366,089	608,633
არამატერიალური აქტივები		85,409	95,467
სულ გრძელვადიანი აქტივები		451,498	704,100
მარაგები		25,970	12,946
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,484,449	5,430,619
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	5,786,474	5,719,129
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,296,893	11,162,694
სულ აქტივები		11,748,391	11,866,794
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		1,000	3,500,000
გაუნაწილებელი მოგება		-	1,029,892
სულ საკუთარი კაპიტალი	12	1,000	4,529,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	12	2,000,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,000,000	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,106,559	3,760,512
გადასახდელი დივიდენდები	12	3,141,832	1,076,390
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	12	1,499,000	2,500,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,747,391	7,336,902
სულ ვალდებულებები		11,747,391	7,336,902
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,748,391	11,866,794

10 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო საქართველო საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ლარში)

	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	6,000,000	545,125	6,545,125
წლის სრული მოგება	-	1,565,619	1,565,619
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,080,852)	(1,080,852)
განთავსებული კაპიტალის შემცირება	(2,500,000)	-	(2,500,000)
2023 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	3,500,000	1,029,892	4,529,892
წლის სრული მოგება	-	2,111,140	2,111,140
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,141,032)	(3,141,032)
განთავსებული კაპიტალის შემცირება	(3,499,000)	-	(3,499,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,000	-	1,000

10 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (არააუდირებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,855,250	1,569,375
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი		(278,736)	(138,970)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(59,768)	1,065
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება		(3,060)	(15,622)
წილის რეალიზაციით მიღებული მოგება		-	(74,586)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	9	28,636	177,273
ცვეთა და ამორტიზაცია		355,383	379,713
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,897,705	1,898,248
<i>სამუშაო კაპიტალის ცვლილება</i>			
მარაგების (ზრდა) / კლება		(13,024)	5,516
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(57,610)	(1,095,325)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		732,894	899,897
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,559,965	1,708,336
გადახდილი მოგების გადასახადი		(189,810)	(3,756)
მიმდინარე საბანკო ანგარიშზე მიღებული პროცენტები		278,736	138,970
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,648,891	1,843,550
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(55,976)	(334,560)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		89,331	23,945
არამატერიალური აქტივების შეძენა		(125,830)	(136,357)
ფულადი სახსრები წილის რეალიზაციიდან		-	119,836
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო		(92,475)	(327,136)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საკუთარი კაპიტალის შემცირება		(2,500,000)	-
გადახდილი დივიდენდები		(1,075,590)	(5,263)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(3,575,590)	(5,263)
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა		(19,174)	1,511,151
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	5,719,129	4,187,243
საკურსო სხვაობის ეფექტი		86,519	20,735
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	5,786,474	5,719,129

10 - 18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო საქართველო (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 405455706) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2021 წლის 14 აპრილს. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42-42ა, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ძირითადი საქმიანობაა ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება.

კომპანიის დამფუძნებლები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

პარტნიორები	2024 წ. წილი, %	2023 წ. წილი %
ზურაბ ლალაზაშვილი	36.00	36.00
ლევან მკლავიშვილი	36.00	36.00
ივანე ჟუჟუნაშვილი	9.00	9.00
მიხეილ ენუქიძე	9.00	9.00
ქეთევან ზარიძე	5.00	5.00
დავით გელაშვილი	2.50	2.50
ვლადიმერ ხრიკაძე	2.50	2.50
	100.00	100.00

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოიცავს მშობელი საწარმოსა და სრულ საკუთრებაში მყოფი ხუთი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება.

კომპანია 2021 წელს გახდა ჯგუფის მფლობელი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანების გზით.

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები:

- 2024 წლის აპრილში დააფუძნა შვილობილი კომპანია უზბეკეთში შპს ბიდიო აუდიტი 100%-იანი წილის მფლობელობით. აღნიშნული კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიმართულია ჯგუფის საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების გაძლიერებისკენ.
- 2024 წლის ნოემბერში კომპანიამ გაასხვისა შპს ბიდიო სტარტაპ ფონდი, რომელიც არ ახორციელებდა ოპერაციულ საქმიანობას და არ ჰქონდა არსებითი შემოსავლები და აქტივები, გარდა ინვესტიციისა 1,920 ლარის ოდენობით.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	31.12.2024	31.12.2023	საქმიანობის სფერო	რეგისტრაციის თარიღი	შემოსვლის თარიღი	გასვლის თარიღი
შპს ბიდიო აუდიტი	100.00%	100.00%	მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	08.04.2008	21.04.2021	-
შპს ბიდიო კონსალტინგ	100.00%	100.00%	ტრენინგები და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება	12.07.2007	21.04.2021	-
შპს ბიდიო ლეგალ	100.00%	100.00%	იურიდიული მომსახურება	08.04.2008	21.04.2021	-
შპს ბიდიო სტარტაპ ფონდი	-	100.00%	ტექნოლოგიური სტარტაპების მოძიება, შესყიდვა და განვითარება	11.03.2021	21.04.2021	26.11.2024

შვილობილი კომპანია	31.12.2024	31.12.2023	საქმიანობის სფერო	რეგისტრაციის თარიღი	შემოსვლის თარიღი	გასვლის თარიღი
შპს ბიდიო ეიზარ ენდ ფეიროლ	100.00%	100.00%	ბიზნეს კონსულტაციები და აუტოსორსინგი	04.12.2015	21.04.2021	-
შპს ბიდიო აუდიტი (უზბეკეთი)	100.00%	-	მარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	18.04.2024	18.04.2024	-

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საადრიცხო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. ჯგუფის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. საადრიცხო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან და გრძელდება მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ასევე სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ჯგუფში დადგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფები, რომლისთვისაც განსაზღვრულია ცხრილში მითითებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	4-5
ავეჯი და მოწყობილობები	4-5
მანქანები	5-7

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული ჯგუფს ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭკრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

	2024	2023
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	7,239,411	5,922,877
არამარწმუნებელი და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	18,233,168	16,013,705
სულ ამონაგები	25,472,579	21,936,582

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2024	2023
დანახარჯები პერსონალზე	(15,092,471)	(13,632,196)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(422,423)	(233,188)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(796,537)	(248,820)
შემენილი მომსახურებები	(1,764,969)	(1,035,492)
სხვა პირდაპირი ხარჯები	(725,728)	(192,764)
სულ გაყიდვების თვითღირებულება	(18,802,128)	(15,342,460)

6. კომერციული ხარჯები

	2024	2023
დანახარჯები პერსონალზე	(243,684)	(350,441)
სხვა კომერციული ხარჯები	(43,418)	(55,184)
სულ კომერციული ხარჯები	(287,102)	(405,625)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დანახარჯები პერსონალზე	(2,023,370)	(1,816,040)
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(107,027)	(664,733)
ოფისის იჯარა	(601,789)	(840,256)
კომუნალური ხარჯები	(208,101)	(397,587)
პროფესიული დაზღვევა	-	(90,435)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(910,160)	(828,374)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,850,447)	(4,637,425)

8. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავტო და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერს	739,775	62,675	5,685	808,135
შეძენა	291,961	42,600	-	334,561
გასვლა/ჩამოწერა	(52,967)	(441)	-	(53,408)
2023 წლის 31 დეკემბერს	978,769	104,834	5,685	1,089,288
შეძენა	49,640	6,336	-	55,976
გასვლა/ჩამოწერა	(129,568)	(45,672)	-	(175,240)
2024 წლის 31 დეკემბერს	898,841	65,498	5,685	970,024
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერს	(246,480)	(30,277)	(1,685)	(278,442)
წლის ცვეთა	(208,986)	(29,606)	-	(238,592)
გასვლა	36,226	153	-	36,379
2023 წლის 31 დეკემბერს	(419,240)	(59,730)	(1,685)	(480,655)
წლის ცვეთა	(203,189)	(18,227)	-	(221,416)
გასვლა	79,379	18,757	-	98,136
2024 წლის 31 დეკემბერს	(543,050)	(59,200)	(1,685)	(603,935)
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერს	493,295	32,398	4,000	529,694
2023 წლის 31 დეკემბერს	559,529	45,104	4,000	608,634
2024 წლის 31 დეკემბერს	355,791	6,298	4,000	366,089

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,949,244	4,700,923
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(207,039)	(287,085)
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	-	115,691
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	321,774	147,148
სახელშეკრულებო აქტივები	1,318,870	726,588
სხვა აქტივები	101,600	27,354
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,484,449	5,430,619

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2024	2023
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(287,085)	(158,894)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	108,682	48,649
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(28,636)	(177,273)
საკურსო სხვაობის ეფექტი	-	433
რეზერვის ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(207,039)	(287,085)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	3,896,732	4,121,190
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1,889,742	1,597,939
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	5,786,474	5,719,129

ფული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო რეზიდენტ ბანკებში სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ და „პეისერა ბანკში“ და არარეზიდენტ ბანკ JSCB HAMKOR BANK-ში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	435,850	159,656
გადასახდელი გადასახადები	1,311,919	820,449
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	2,240,882	2,022,785
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1,117,908	757,622
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,106,559	3,760,512

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

12. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფმა შეამცირა განთავსებული კაპიტალი 3,499,000 ლარით და სრულად გაანაწილა დაგროვილი მოგება. პარტნიორების მიმართ არსებული გადასახდელი ვალდებულება, შესაბამისად, კლასიფიცირდა სხვა გრძელვადიან ვალდებულებად, სხვა მოკლევადიან ვალდებულებად და გადასახდელ დივიდენდებად.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენს 435,225 ლარს.

სხვა ტრანზაქციები და ბალანსები უმაღლესი ხელმძღვანელობასთან შემდეგია:

ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის		დაუფარავი ნაშთი	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამოცხადებული დივიდენდები	1,667,111	513,910	1,667,111	-
სხვა ვალდებულებები	2,519,280	1,800,000	2,880,000	1,800,000
	4,186,391	2,313,910	4,547,111	1,800,000

14. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	3.4228
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306	3.5349

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება.

საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%. ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მისადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%.

მოგების გადასახადის გადახდა ხდება როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ (ფიზიკურ და იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე. 0

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

16. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ცვლილება მოხდა ჯგუფის სტრუქტურაში, შპს ბიდიო აუდიტმა იყიდა ბიდიო საქართველოს შვილობილი კომპანია უზბეკეთში და გახდა მისი 100% იანი წილის მფლობელი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ჯგუფმა პარტნიორებს დივიდენდების სახით გადაუხადა 1,747,289 ლარი, ასევე დაფარა ვალდებულებები პარტნიორების მიმართ 1,572,000 ლარის ოდენობით.

მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

ზიდო საქართველო

სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	3
2.	კორპორაციული მართვა და მენეჯმენტი	4
3.	ბაზრის საქმიანობის გარემო	4
4.	სტრატეგია, განვითარების გეგმები და პერსპექტივები	4
5.	ფინანსური შედეგები.....	5
6.	ადამიანური კაპიტალი და კულტურა	5
7.	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	6
8.	ხარისხის კონტროლი და შესაბამისობა	8

1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს „ბიდიო საქართველო“ (შემდგომში „BDO“ ან „ჯგუფი“) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და წარმოადგენს BDO International Limited-ის ქსელის წევრ ფირმას და შედის BDO-ს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. BDO არის საერთო სავაჭრო ნიშანი ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისთვის.

შპს „ბიდიო საქართველო“ ფლობს სრულ წილს შემდეგ შვილობილ კომპანიებში: შპს „ბიდიო აუდიტი“, შპს „ბიდიო კონსალტინგ“, შპს „ბიდიო ლეგალ“ და შპს „ბიდიო ეიჩარ ენდ ფეროლ“; 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შპს „ბიდიო საქართველოს“ მფლობელობაშია უზბეკეთში რეგისტრირებული შპს „ბიდიო აუდიტი“ (100%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100% წილს ფლობს შვიდი პარტნიორი შემდეგი წილობრივი განაწილებით: ზურაბ ლალაზაშვილი (36%), ლევანი მკლავიშვილი (36%), მიხეილ ენუქიძე (9%), ივანე ჟუჟუნაშვილი (9%), ქეთევან ზარიძე (5%), ვლადიმერ ხრიკაძე (2.5%), დავით გელაშვილი (2.5%).

BDO არის აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც საქართველოში ოპერირებს 1999 წლიდან. ჯგუფი 11 პარტნიორს და 250-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს. BDO-ს პროფესიონალთა გუნდი უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას მსხვილ და საშუალო, ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებისთვის თითქმის ყველა ინდუსტრიაში.

BDO-ს გლობალური ქსელი მოიცავს 166 ქვეყანას და ტერიტორიას 119,611-ზე მეტი თანამშრომლითა და 1,800 ოფისით მსოფლიო მასშტაბით.

BDO-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- საგადასახადო მომსახურება
- ბიზნეს სერვისები და აუტსორსინგი
- ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება
- საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან დაკავშირებული მომსახურება
- იურიდიული მომსახურება
- საგანმანათლებლო მომსახურება.

ჯგუფის საოპერაციო საქმიანობას წარმართავენ ადგილობრივი პარტნიორები.

კლიენტებთან განსაკუთრებული ურთიერთობები, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აქცენტირება, პარტნიორული მიდგომები, პასუხისმგებლობა და სანდოობა ჩვენი ჯგუფის უცვლელი ფასეულობებია. ეს გვეხმარება გავამართლოთ ჩვენ მიმართ არსებული ნდობა და შევქმნათ მდგრადი ფასეულობა მათთვის, ვისთანაც ვთანამშრომლობთ.

2. კორპორაციული მართვა და მენეჯმენტი

ჯგუფის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოდგენს პარტნიორთა კრება, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ჯგუფის საქმიანობასთან მიმართებაში. ჯგუფის მენეჯმენტი დაკომპლექტებულია ჯგუფის პარტნიორებისა და მიმართულებების ხელმძღვანელებისგან, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ მისი დირექტორები - ზურაბ ლალაზაშვილი და ლევან მკლავიშვილი.

საერთაშორისო ქსელის წევრობასთან ერთად, ჯგუფის პროფესიული საქმიანობის მიმართ მოთხოვნები განაპირობებს, რომ „ჯგუფი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხარისხის უზრუნველყოფას და ეთიკის ნორმების დაცვას როგორც გარიგების, ისე ფირმის დონეზე, ყველა ასპექტში. მაღალი პროფესიული ეთიკისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, ჯგუფში დანერგილია შესაბამისი პროცედურები. ჯგუფის რეპუტაციას განაპირობებს კლიენტებისათვის მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების ობიექტურად და ეთიკურად გაწევა.

3. ბაზრის საქმიანობის გარემო

EBRD-ის მონაცემებით 2024 წლის საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 9.5% შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა მომსახურების სექტორი: ტრანსპორტისა და საწყობების სფერო 9.7%-ით, განთავსებისა და კვების მომსახურება 8.5%-ით, ინფორმაცია და კომუნიკაცია 12.2%-ით, ხოლო ფინანსური და სადაზღვევო მომსახურება 9.6%-ით გაიზარდა.

ჯგუფისთვის 2024 წელი აჩვენებს ადაპტაციისა და დივერსიფიკაციის აუცილებლობას, ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებას და ადამიანური კაპიტალის განვითარებაში ინვესტირების მნიშვნელობას, რათა შენარჩუნებული იქნას კონკურენტუნარიანობა რთულ და დინამიურ ბიზნეს გარემოში.

2025 წლისთვის პროგნოზირებულია ეკონომიკური ზრდის შენელება 5.5%-მდე, თუმცა ეს მაჩვენებელი კვლავ რეგიონულ საშუალოზე მაჩვენებელზე მაღალი იქნება.

4. სტრატეგია, განვითარების გეგმები და პერსპექტივები

ჯგუფის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები მოიცავს ხარისხის, ტექნოლოგიების და ადამიანური რესურსების გაძლიერებას, როგორც არის:

- აუდიტის ხარისხის და ISQM სტანდარტების სრულყოფილი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება;
- ციფრული ტრანსფორმაცია: RPA, მონაცემთა ანალიზი, BI-სისტემების და ავტომატიზაციის ინსტრუმენტების დანერგვა;
- რეგიონული გაფართოება და ქსელური თანამშრომლობის გაღრმავება;

- ინვესტირების გაგრძელება ადამიანურ კაპიტალში: ტრენინგები, სერთიფიკაციების მხარდაჭერა და უნარების განვითარების პროგრამები.

ეს ინიციატივები მიზნად ისახავს მდგრადი ზრდის კურსის შენარჩუნებას და მომხმარებლისთვის უკეთეს საკონსულტაციო მომსახურებისა და პარტნიორული ურთიერთობების შეთავაზებას..

5. ფინანსური შედეგები

ამ განყოფილებაში მოცემულია ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. სრული და დეტალური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებებით შენიშვნებში.

მაჩვენებელი	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	278	297
შემოსავალი, '000 ლარი	25,473	21,937
აქტივების ღირებულება, '000 ლარი	11,748	11,867

6. ადამიანური კაპიტალი და კულტურა

2024 წელს BDO-ში დასაქმებული იყო საშუალოდ 280-მდე თანამშრომელი.

ჩვენი ადამიანური კაპიტალი და ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ჯგუფის წარმატების საფუძველს. ძირითადი კორპორატიული ღირებულებების დაცვა და თანამშრომლობითი, ინკლუზიური და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ჩვენი თანამშრომლების ჩართულობას, მოტივაციასა და შესაძლებლობას, მუდმივად მიაღწიონ უმაღლესი ხარისხის შედეგებს.

ჯგუფი ერთვულია უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლების, ინოვაციების ხელშეწყობისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს, განავითარონ უნარები და მუდმივად შეესაბამებოდნენ ინდუსტრიის თანამედროვე ტენდენციებს.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალთა გუნდი, რომელთა ნაწილი ფლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიულ სერტიფიკატებს. თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წევრს, მათ შორის 9 თანამშრომელი აღიარებულია როგორც პროფესიონალი ბუღალტერი, ხოლო 7 თანამშრომელს მინიჭებული აქვს აუდიტორის ლიცენზია. ჯგუფში დასაქმებულია ასევე 4 საჯარო სექტორის ლიცენზირებული აუდიტორი.

ჯგუფში ასევე დასაქმებული არიან იურიდიული და შეფასების მიმართულებით სერტიფიცირებული სპეციალისტები, მათ შორის: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ სერტიფიცირებული

ადვოკატები, უძრავი, მოძრავი ქონებისა და ბიზნესის შეფასების მიმართულებით სერტიფიცირებული სპეციალისტები. გვყავს ასევე RICS-ის (Royal Institute of Chartered Surveyors) პროფესიონალი 2 წევრი.

გუნდის ტექნოლოგიური კომპეტენციები განმტკიცებულია საერთაშორისო IT სერტიფიკატებით, მათ შორის: Microsoft Certified Power Automate RPA Developer Associate - სამი თანამშრომელი, Microsoft Certified Power Platform Functional Consultant Associate - ერთი თანამშრომელი, PECB სერტიფიცირებული ერთი უფროსი აუდიტორი და PECB სერტიფიცირებული ერთი უფროსი იმპლემენტატორი. გუნდში ასევე გვყავს სერტიფიცირებული ინფორმაციული სისტემების აუდიტორი, ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერი და სხვა სერტიფიცირებული სპეციალისტები.

აღნიშნული სერტიფიკატები წარმოადგენს ჯგუფის თანამშრომელთა მაღალ პროფესიონალიზმსა და მუდმივი განვითარებისკენ მიდრეკილებას, რაც უზრუნველყოფს ჯგუფის მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

სექონდმენტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკაა BDO-ში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გზაზე. ეს შესაძლებლობა აძლევს ჩვენს გუნდს იმუშაონ ქსელის სხვადასხვა ოფისებში, ახალ გარემოში და სხვა კულტურულ თუ პროფესიულ კონტექსტში – რაც აძლიერებს მათ ხედვას, ცოდნას და უნარებს. თანამშრომლები ბრუნდებიან ახალი ენერგიით, იდეებითა და საუკეთესო პრაქტიკებით, რაც პირდაპირ აისახება ჩვენს გუნდურ კულტურაზე და საერთო შედეგებზე. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს BDO-ს ექვსს თანამშრომელს ჰქონდა გრძელვადიანი სექონდმენტის შესაძლებლობა და შეუერთდა BDO US-ის გუნდს.

7. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2020 წელს BDO ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPIs) ხელმძღვრეი გახდა. ამ ნაბიჯით ჩვენ დავადასტურეთ მზადყოფნა და შეგნებული მიზანი, ხელი შევუწყოთ ქალთა გაძლიერებას სამუშაო ადგილზე, ბაზარსა თუ საზოგადოებაში.

2021 წლიდან BDO გაეროს გლობალური შეთანხმების წევრია, ამ ნაბიჯით ავიღეთ პასუხისმგებლობა ვიმოქმედოთ გლობალური შეთანხმების 10 პრინციპის შესაბამისად ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის არეებში და გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით.

BDO საქართველო მხარს უჭერს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) და ხელს უწყობს 8 ძირითადი მიზნის განხორციელებას, სადაც ჯგუფს გააჩნია რეალური გავლენა და ჩართულობა. ეს მიზნები აერთიანებს ჩვენს საქმიანობის სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით განზომილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმართულება ჩვენი საერთო პასუხისმგებლობის ნაწილია, განსაკუთრებული ყურადღება მიგვაქვს იმ მიზნებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება BDO-ს ღირებულებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას.

ჩვენი პირდაპირი ფოკუსი შემდეგ მიზნებზე:

SDG 4: ხარისხიანი განათლება - უზრუნველყოფთ ცოდნის გაზიარებას, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას როგორც თანამშრომლებისთვის, ისე

უფრო ფართო საზოგადოებისთვის BDO Academy-ის, საგანმანათლებლო ინიციატივებისა და პროექტების მეშვეობით.

SDG 5: გენდერული თანასწორობა - ვემზობით თანაბარ შესაძლებლობებსა და ქალთა გაძლიერებას ყველა დონეზე. BDO-ში გენდერული ბალანსი და ინკლუზიური სამუშაო გარემო ჩვენი ორგანიზაციული კულტურის საფუძველია.

SDG 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა - ვქმნით უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებულ სამუშაო გარემოს და ვუჭერთ მხარს მდგრად ეკონომიკურ ზრდას პასუხისმგებლიანი ბიზნესპრაქტიკებითა და ინოვაციური გადაწყვეტილებებით.

SDG 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება - ვახორციელებთ ეკომეგობრულ მიდგომებს, ვზრუნავთ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და ხელს ვუწყობთ გარემოზე ზრუნვის კულტურის დამკვიდრებას როგორც ჯგუფის შიგნით, ისე პარტნიორ ორგანიზაციებს შორის.

2021 წელს გავხსენით ფშავ-ხევსურეთის საგანმანათლებლო ცენტრი ბარისახოში, რომელიც ემსახურება განათლების ხელშეწყობასა და განსაკუთრებით ისეთი ადამიანების მხარდაჭერას, ვისაც აქვს ამის საჭიროება.

2022 წლის აპრილიდან BDO-ში მეორადი გადამუშავებისთვის გროვდება პლასტმასის ნარჩენები. ამ ხნის განმავლობაში ოფისში შეგროვდა და მეორადი გადამუშავებისთვის პარტნიორ საწარმოს მიეწოდა 1,000 კგ-ზე მეტი ნარჩენი. ასევე ვახორციელებთ მაკულატურის შეგროვებასა და მიწოდებას. ჩვენი უახლოესი გეგმებია შესყიდვების და მოხმარების ოპტიმიზაცია, რათა კიდევ უფრო ეფექტური იყოს მდგრადი განვითარების მიმართულებით ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები.

მდგრადი განვითარების თემები დიდი ხანია საფუძვლად უდევს ჩვენი ჯგუფის ძირულ გადაწყვეტილებებს. 2022 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ BDO-ს პირველი რეპორტი მდგრადი განვითარების შესახებ, რომლითაც ვადასტურებთ გაეროს გლობალური მეთანხმების 10 უნივერსალური პრინციპის ერთგულებას.

2022 წელს, ჩვენთან პარტნიორობით, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციამ განახორციელა ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი - „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის“. პროექტი ითვალისწინებდა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტის ფარგლებში, პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორებთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან და „ფონდ ტასოსთან“ მომუშავე 200 ქალს BDO აკადემიის და BDO-ს ბიზნეს კონსულტაციების გუნდის მიერ ჩაუტარდა ტრენინგები და პერსონალური ქოუჩინგი ბიზნესის განვითარების სხვადასხვა მიმართულებით.

BDO-ს ოფისში, დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებული დედეებისთვის მოქმედებს ლაქტაციის ოთახი. BDO-ს გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას ქალები წარმოადგენენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ მეძუძურ დედეებს, რომ ჰქონდეთ პირადი სივრცის კომფორტი და ადეკვატური შესვენება ლაქტაციისთვის, ეს ოთახი დედეებს საშუალებას აძლევს სათანადოდ იზრუნონ ჩვილებზე და ამავდროულად სამსახურს მშვიდად და სრულფასოვნად დაუბრუნდნენ. ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო ატრიბუტით, სივრცის გამოყენება შეუძლიათ თანამშრომლებს და საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრებზე მოსულ ვიზიტორ ქალებს.

განათლების მხარდაჭერის ფარგლებში, „ბექას სკოლასთან“ პარტნიორობით, განვახორციელეთ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი ფშავ-ხევსური ახალგაზრდებისთვის. კურსი მიზნად ისახავდა თემში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობის შექმნას.

BDO-ს, როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესის უმთავრესი ამოცანაა ჩვენი გადაწყვეტილებებით და თანმიმდევრული მოქმედებით შევცვალოთ ცხოვრება უკეთესობისკენ და უზრუნველყოთ მეტი მდგრადობა თემის, საზოგადოების და ქვეყნებისთვის.

8. ხარისხის კონტროლი და შესაბამისობა

ხარისხის მართვის სისტემის მიმოხილვა

შპს „ბიდიო საქართველოს“ შვილობილი კომპანიებიდან შპს „ბიდიო აუდიტი“ (შემდგომში „ფირმა“) ექვემდებარება ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM 1 და ISQM 2) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს.

ფირმა მიზნად ისახავს აუდიტის მაღალი ხარისხის სტანდარტების დაცვას, რათა მუდმივად შეძლოს ხარისხიანი გარიგებების შესრულება, რომელიც შეესაბამება დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს და ემსახურება საზოგადოების ინტერესს. ფირმა აყალიბებს კულტურას, სადაც აუდიტის ხარისხი წარმოადგენს ფირმის სტრატეგიისა და პრიორიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო ყველა პარტნიორი და თანამშრომელი პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია ხარისხიანი გარიგებების შესრულებაზე, პროფესიული ეთიკის და ღირებულებებისა დაცვით.

მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესრულების მხარდასაჭერად, ფირმამ მნიშვნელოვანი დრო და რესურსი დახარჯა ხარისხის მართვის სისტემის (ხმს) შექმნასა და მართვაზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტს 1 („ISQM 1“), ბიდიო გლობალის ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს და ხელს უწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- ფირმა და მისი პერსონალი თავიანთ პასუხისმგებლობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებსაც ასრულებენ ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული გარიგების დასკვნები (ანგარიშები) კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.

ფირმამ დაისახა ყველა ხარისხის მიზანი და ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის საჭირო საპასუხო ზომები, როგორც ეს განსაზღვრულია ISQM 1-ში ხარისხის მართვის სისტემის თითოეული კომპონენტისათვის. ეს კომპონენტებია:

- ფირმის რისკის შეფასების პროცესი
- მმართველობა და ხელმძღვანელობა
- სათანადო ეთიკური მოთხოვნები
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება
- გარიგების შესრულება
- რესურსები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია და
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი.

ზემოთ ჩამოთვლილი რვა კომპონენტი ხარისხის მართვის სისტემაში მუშაობს უწყვეტად და იტერაციულად. ISQM 1-ის სხვა მოთხოვნები მოიცავს ხარისხის მართვის სისტემაში როლებსა და პასუხისმგებლობებს, ხელმძღვანელობის მხრიდან სისტემის შეფასებას, ქსელის მოთხოვნებს ან ქსელის მომსახურებებს და დოკუმენტაციას, რომლის დაცვასაც ფირმა უზრუნველყოფს. ფირმის ხარისხის მიზნების მისაღწევად, ხარისხის მართვის სისტემის შექმნისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, ფირმამ დაამტკიცა ხარისხის მართვის პოლიტიკა და შესაბამისი პროცესები, რომელიც ეყრდნობა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს და ბიდიო გლობალის ხარისხის მოთხოვნებს და ეფექტურია 2022 წლის 15 დეკემბრიდან. ფირმამ გაატარა შემდეგი ღონისძიებები ხმს-ის თითოეული კომპონენტისათვის:



მონიტორინგი

ფირმა უწყვეტ მონიტორინგს უწევს ხმს-ის დიზაინს, დანერგვასა და ფუნქციონირების ეფექტურობას, რათა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი საკითხები. ფირმა აანალიზებს გამოვლენილი ნაკლოვანებების პირითად გამომწვევ მიზეზებს და დროულად ახორციელებს რემედიაციის ღონისძიებებს.

ყოველწლიურად ფირმა აიდენტიფიცირებს ცვლილებებს ფირმის გარემოში ან მის გარემოებებში და ახდენს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამის ადაპტაციას, ცვლილებების საპასუხოდ.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასება

ფირმა ყოველ წელს აფასებს თავისი ხარისხის მართვის სისტემას ISQM 1-ის შესაბამისად, და ასკვნის, ფირმის ხმს ფირმას უზრუნველყოფს თუ არა დასაბუთებულ რწმუნებით, რომ შეფასების თარიღისთვის ხარისხის მართვის სისტემის მიზნები სრულად მიღწეულია. დასაბუთებული რწმუნება არ არის რწმუნების აბსოლუტური დონე, რადგან ფირმის ხარისხის მართვის სისტემას თანდაყოლილი შეზღუდვები ახასიათებს.

ფირმის ხმს-ს წლიური შეფასება ითვალისწინებს მონიტორინგის ქმედებების დროს შეგროვებულ ინფორმაციას, ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, დანერგვის და ოპერაციული ფუნქციონირების შესახებ, რომლებიც განხორციელდა ხმს-ს შეფასების თარიღამდე. მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს

საპასუხო ქმედებების ოპერაციული ეფექტურობის ტესტირებას, გარიგებების შიდა და გარე ინსპექტირების შედეგად მიღებული აღმოჩენილი ფაქტების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის განხილვას, რომელიც მიღებულია ხმს-ს შესახებ.

ფირმა იყენებს პროფესიულ განსჯას, რათა შეაფასოს მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები და განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა ხმს-ს ნაკლოვანებებს აღმოჩენილი ფაქტები, ცალ-ცალკე ან აგრეგირებულად. ყველა გამოვლენილი ნაკლოვანებისათვის ფირმა იკვლევს ძირითად გამომწვევ მიზეზს, აფასებს მის სერიოზულობას და ყოვლისმომცველობას, ცალ-ცალკე და სხვა აღმოჩენილ ნაკლოვანებებთან ერთობლიობაში, ფირმის ხმს-ს ხარისხის მიზნების მიღწევის კუთხით.

ყველა აღმოჩენილი ნაკლოვანებისათვის ფირმა ნერგავს და ახორციელებს რემედიაციის ღონისძიებებს, რომლებიც პასუხობს ძირითადი გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგებს, და ასევე ახდენს რემედიაციის პროგრესის მონიტორინგს.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასების შედეგი

ფირმას ხარისხის მართვის სისტემის შეფასების თარიღად დადგენილი აქვს ყოველი წლის 30 სექტემბერი. ხოლო შეფასების დასრულების თარიღს წარმოადგენს ყოველი წლის 15 დეკემბერი.

ფირმამ ხარისხის მართვის სისტემის უკანასკნელი შეფასება ISQM1-ის შესაბამისად ჩაატარა 2024 წელს და დაასკვნა, რომ ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს ფირმას დასაბუთებული რწმუნებით, რომ 30.09.2024-ის მდგომარეობით ხარისხის მართვის სისტემის მიზნები სრულად მიღწეულია.

2025 წლის ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო შეფასება დასრულდება მიმდინარე წლის 15 დეკემბრის.

აუდიტის ხარისხის ინდიკატორები AQI

ფირმაში დანერგილია ბიდიო გლობალის მიერ ინიცირებული რვა აუდიტის ხარისხის ინდიკატორი, რომელსაც ფირმა აკვირდება ყოველწლიურად. ხარისხის ინდიკატორების დანერგვა და მათზე დაკვირვება ფირმას საშუალებას აძლევს რაოდენობრივად შეაფასოს აუდიტის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს ინდიკატორები, რაც მხარს უჭერს ხარისხიანი გარიგებების შესრულებას.

ფირმის ქსელის შემოწმების შედეგები

ფირმა სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ბიდიო გლობალის ხარისხის შემოწმებას. უკანასკნელი ხარისხის შემოწმება ფირმამ გაიარა 2023 წლის ივლისში და ფირმამ მიიღო უმაღლესი შეფასება.

რეგულატორის შემოწმების შედეგები

ფირმა აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში სამსახური აფასებს ხარისხის მართვის სისტემას და

მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ფირმამ სამსახურის მხრიდან ხარისხის უკანასკნელი შემოწმება გაიარა 2023 წელს. სამსახურის შემოწმების შედეგად ფირმას და მის სამ გარიგების პარტნიორს მიენიჭა სდპ გარიგებების შემოწმების უფლებამოსილება. დამატებით 2024 წლის აგვისტოში, ფირმის ერთმა ახალმა გარიგების პარტნიორმა გაიარა ნებაყოფლობითი შემოწმება და მიენიჭა სდპ გარიგებების შესრულების უფლებამოსილება.

მმართველი პარტნიორი



ზურაბ ლალაზაშვილი

2025 წლის 28 ოქტომბერი